

შპს ეკოლ გრუპი ფინანსური ანგარიშგება:
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი



ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2021

შპს ეკოლ გრუპი

შპს ეკოლ გრუპი ფინანსური ანგარიშგება:
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	6
1. ძირითადი საქმიანობა	6
2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი.....	6
3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა	6
3.1 უცხო ვალუტის ოპერაციები.....	7
3.2 ვალუტის გაცვლითი კურსი	7
3.3 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7
3.4 ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება	7
3.5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7
3.6 სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7
3.7 მოგების გადასახადი	8
3.8 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8
3.9 საწესდებო კაპიტალი	8
3.10 დივიდენდები.....	9
3.11 შემოსავალი	9
3.12 ხარჯები	9
3.13 დაკავშირებულ მხარეთა შორის ტრანზაქციები:.....	9
3.14 წინა პერიოდის შეცდომების გასწორება	9
შენიშვნა 4 ამონაგები.....	10
შენიშვნა 5 რელიზაციის თვითღირებულება	10
შენიშვნა 6 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	11
შენიშვნა 7 მიწოდების და მომსახურების ხარჯები	11
შენიშვნა 8 სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა.....	11
შენიშვნა 9 ძირითადი საშუალებები	12
შენიშვნა 10 ფული და ფულის ექვივალენტები	13
შენიშვნა 11 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	13
შენიშვნა 12 მარაგები	14
13. რისკების მართვა.....	14
3.15 ლიკვიდურობის რისკი	14
3.16 სავალუტო რისკი	15
14. საწარმოს უწყვეტობის განხილვა	15
15. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება	15
16. დაკავშირებულ მხარეთა შორის ტრანზაქციები:	15
17. სასამართლო დავები	15
18. ბალანსის შემდგომი მოვლენები	15

შპს ეკოლ გრუპი ფინანსური ანგარიშგება:
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შემიშვნები	2021 წელი ლარი	2020 წელი ლარი
ამონაგები	4	4,365,841	2,581,064
რეალიზაციის თვითღირებულება	5	(3,114,722)	(1,916,681)
საერთო მოგება		1,251,119	664,383
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6	144,884	68,856
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	7	-	761
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	8	(1,682)	63,758
საოპერაციო მოგება		1,107,917	531,007
ფინანსური ხარჯი		-	-
ფინანსური ხარჯი - წმინდა		-	-
მოგება დაბეგვრამდე		1,107,917	531,007
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		1,107,917	531,007
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან,		-	-
გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		1,107,917	531,007

გ. ხურცილაძე

დირექტორი გ. ხურცილაძე

22 დეკემბერი 2022

თბილისი, საქართველო



შპს ეკოლ გრუპი ფინანსური ანგარიშგება:
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შემიშვნები	2021 წელი ლარი	2020 წელი ლარი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
პირითადი საშუალებები	9	105,980	7,892
საინვესტიციო ქონება		-	-
		105,980	7,892
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	10	27,266	88,418
საეაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	11	621,315	308,705
საგადასახადო აქტივები		-	-
მარაგები	12	1,757,749	771,002
		2,406,331	1,168,125
		2,512,310	1,176,017
მთლიანი აქტივები			
მთლიანი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		811,827	304,349
მიმდინარე მოგება/ ზარალი		1,107,917	531,007
გადაფასების რეზერვი		-	-
		1,919,744	835,356
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
გრძელვადიანი სესხები		-	-
ანარიცხები		-	-
გადავადებული შემოსავალი		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები		-	-
საეაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		591,433	339,755
საგადასახადო ვალდებულებები		1,133	906
		592,566	340,661
		592,566	340,661
მთლიანი ვალდებულებები		2,512,310	1,176,017
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები			

გ. ხურცილავა

დირექტორი გ. ხურცილავა

22 დეკემბერი 2022

თბილისი, საქართველო



შპს ეკოლ გრუპი ფინანსური ანგარიშგება:
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

**საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით**

	შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
2020 წლის 1 იანვარი		20,000	-	439,643	459,643
წმინდა მოგება				531,007	531,007
სხვა სრული შემოსავალი				-	-
გადაფასების რეზერვი				-	-
გაცემული დივიდენდი		(20,000)		(135,294)	(155,294)
წინა პერიოდის კორექტირებები				-	-
2020 წლის 31 დეკემბერი		-	-	835,356	835,356
წმინდა მოგება				1,107,917	1,107,917
სხვა სრული შემოსავალი				-	-
პერიოდის სრული შემოსავალი				-	-
გადაფასების რეზერვი				-	-
გაცემული დივიდენდი				(23,529)	(23,529)
წინა პერიოდის კორექტირებები				-	-
2021 წლის 31 დეკემბერი		-	-	1,919,744	1,919,744

გ. ხურცილაძე

დირექტორი გ. ხურცილაძე

22 დეკემბერი 2022

თბილისი, საქართველო



შპს ეკოლ გრუპი ფინანსური ანგარიშგება:
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შემიშვნები	2021 წელი ლარი	2020 წელი ლარი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:			
წლის მოგება გადასახადებამდე		1,107,917	531,007
კორექტირება:			
მოგების გადასახადი			
ცვეთა და ამორტიზაცია	9	4,361	4,251
მარაგების კლება/(ზრდა)		(986,747)	(372,536)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(312,610)	(200,429)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების კლება		251,905	195,664
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		64,826	157,956
გადახდილი პროცენტი			
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		64,826	157,956
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითად საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები		(102,449)	-
არამატერიალური აქტივების შეძენაზე გადახდილი თანხები			
წმინდა ფულადი სახსრების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(102,449)	-
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან			
საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)		-	(20,000)
გაცემული დივიდენდები		(23,529)	(135,294)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული		(23,529)	(155,294)
წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში	10	(61,152)	2,662
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში		88,418	85,756
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს		27,266	88,418

გ. ხურცილავა

დირექტორი გ. ხურცილავა

22 დეკემბერი 2022

თბილისი, საქართველო



შპს ეკოლ გრუპი ფინანსური ანგარიშგება;
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

საბითუმო და საცალო ვაჭრობა სანტექნიკური მოწყობილობებით.

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ორგანიზაციას თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც მოქმედი საწარმო, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტი გაითვალისწინებს კომპანიის ფინანსური მდგომარეობას, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგების, ოპერაციების მომგებიანობას და ფინანსურ რესურსებზე წვდომას და ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენის ანალიზს კომპანიის ოპერაციებზე.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3.1 უცხო ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სების ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

შპს ეკოლ გრუპი ფინანსური ანგარიშგება;
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

3.2 ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	2021	2020
ლარი/1 აშშ დოლარი	3.0976	3.2766
ლარი/1 ევრო	<u>3.504</u>	<u>4.0233</u>

3.3 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში.

3.4 ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

3.5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებების ანალიზს და მის დარეზერვებას.

3.6 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფბრუნვად მარაგებს.

შპს ეკოლ გრუპი ფინანსური ანგარიშგება:
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

3.7 მოგების გადასახადი

საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანია გარდა ფინანსური ინსტიტუტისა (როგორც არის ბანკი, სადაზღვევო კომპანია, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, ლომბარდი) ვალდებული არ არის გადაიხადოს მოგების გადასახადი სანამ არ მოხდება ან დივიდენდის გზით მოგების განაწილება ან განაწილებად მიჩნევა.

დივიდენდის განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება და იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივები ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ ნორმას.

აგრეთვე შეღავათიანი დაბეგვრის მქონე იურისდიქციის ქვეყნებში რეგისტრირებულ საწარმოებზე გადახდილ ავანსები, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები იხვერება გადახდის წყაროსთან.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება საანგარიშო წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების განაკვეთი არის 15%, რომლის გადახდაც ხდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე და რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისათვის.

საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, არ არსებობს განსხვავება საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 „მოგებიდან გადასახადები“ 2017 წლის 1 იანვრიდან არ წარმოიქმნება.

3.8 სავაქრო და სხვა ვალდებულებები

სავაქრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

3.9 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებასზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელის მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელის მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ

შპს ეკოლ გრუპი ფინანსური ანგარიშგება:
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

3.10 დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

3.11 შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე. პერიოდის წმინდა შემოსავალი აღიარებულია პერიოდის შემოსავალი შემცირებული თვითღირებულების დანახარგებით, ფასდათმობით და პირდაპირი ხელფასებით.

3.12 ხარჯები

საწარმო ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

3.13 დაკავშირებულ მხარეთა შორის ტრანზაქციები:

მსს ფასს სტანდარტის 33-ე განყოფილება „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე, ან თუ მხარეები ერთი და იმავე ჯგუფის შვილობილი კომპანიებია. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

3.14 წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

საწარმო შესაძლებლობის ფარგლებში, რეტროსპექტულად შეასწორებს წინა საანგარიშგებო პერიოდის არსებითი შეცდომებს მისი გამოვლენის შემდეგ გამოსაცემად დამტკიცებულ პირველივე ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს ეკოლ გრუპი ფინანსური ანგარიშგება:
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 4 ამონაგები

2021 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ამონაგები მოიცავდა:

ამონაგები	2021 ლარი	2020 ლარი
შემოსავალი რეალიზიციიდან	(4,344,343)	(2,578,290)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	(57,426)	(5,049)
გაყიდული საქ. დაბრუნება და ფასდათმობა	35,927	2,275
სულ	(4,365,841)	(2,581,064)

შენიშვნა 5 რეალიზაციის თვითღირებულება

2021 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის რეალიზაციის თვითღირებულება მოიცავდა:

რეალიზაციის თვითღირებულება	2021 ლარი	2020 ლარი
გაყიდული საქონელის თვითღირებულება	3,147,466	1,938,637
გაყიდული საქონელის უკან დაბრუნება	(32,744)	(21,956)
სულ	3,114,722	1,916,681

შპს ეკოლ გრუპი ფინანსური ანგარიშგება:
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 6 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2021 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავდა:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2021	2020
	ლარი	ლარი
შრომის ანაზღაურება	74,053	27,398
საიჯარო ქირა	35,865	22,103
სხვა საერთო ხარჯი	28,177	13,985
ცვეთა და ამორტიზაცია	4,361	4,251
სოციალური დანარიცხები	1,327	548
კომპიუტერის ხარჯები	1,102	353
კომუნიკაციის ხარჯები	-	219
სულ	144,884	68,856

შენიშვნა 7 მიწოდების და მომსახურების ხარჯები

2021 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის მიწოდების და მომსახურების ხარჯები მოიცავდა:

მიწოდების და მომსახურების ხარჯები	2021	2020
	ლარი	ლარი
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები		761
სულ	-	761

შენიშვნა 8 სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა

2021 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა მოიცავდა:

სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	2021	2020
	ლარი	ლარი
განსაკუთრებული ხარჯები	-	64,671
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-	5
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	(1,682)	(918)
სულ	(1,682)	63,758

შპს ეკოლ გოუპი ფინანსური ანგარიშგება:
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 9 ძირითადი საშუალებები

2021 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ძირითადი საშუალებები მოიცავდა:

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონება	სულ
თვლირებულება				
1 იანვარი 2020	11,142		10,157	21,299
შემოსვლა				-
გადაფასება				-
გასვლა				-
31 დეკემბერი 2020	11,142	-	10,157	21,299
შემოსვლა	949	2,114	99,386	102,449
გადაფასება				-
გასვლა				-
31 დეკემბერი 2021	12,092	2,114	109,543	123,748

	ოფისისაღჭურვი ლობა	ავეჯიდასხვაინვე ნტარი	იჯარითაღებული ქონება	სულ
ცვეთა და გაუფასურება				
1 იანვარი 2020	3,401		5,756	9,157
პერიოდის ცვეთა	2,202		2,049	4,251
გასვლა				-
31 დეკემბერი 2020	5,603	-	7,805	13,407
პერიოდის ცვეთა	2,258	72	2,031	4,361
გასვლა				-
31 დეკემბერი 2021	7,860	72	9,836	17,768

წმინდა საბალანსო ღირებულება				
1 იანვარი 2020	7,741	-	4,401	12,143
31 დეკემბერი 2020	5,540	-	2,352	7,892
31 დეკემბერი 2021	4,231	2,042	99,707	105,980

შპს ეკოლ გრუპი ფინანსური ანგარიშგება:
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 10 ფული და ფულის ექვივალენტები

2021 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავდა:

ფული და ფულის ექვივალენტები	2021 ლარი	2020 ლარი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	27,266	83,290
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	0	5,128
სულ	27,266	88,418

შენიშვნა 11 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

2021 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები მოიცავდა:

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2021 ლარი	2020 ლარი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	551,953	304,178
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	65,904	-
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	3,459	4,527
სულ	621,315	308,705

შენიშვნა 12 მარაგები

2021 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის მარაგები მოიცავდა:

მარაგები	2021 ლარი	2020 ლარი
საქონელი	1,754,289	771,002
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	3,460	-
სულ	1,757,749	771,002

შპს ეკოლ გრუპი ფინანსური ანგარიშგება;
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

13. რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

3.15 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიის დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს და ატარებს ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს რომელიც მას სჭირდება იმ რწმუნებისთვის, რომ მას გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

3.16 სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშვება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. 2018-2019 წლებში დოლარის და ევროს გაცვლითი კურსის გამყარებამ კომპანიაში წარმოქმნა ფინანსური ზარალი საკურსო სხვაობიდან ვინაიდან კომპანიის მარაგების არსებითი ნაწილი შეძენილია უცხოურ ვალუტაში და პერიოდის ბოლოს კომპანიის ვალდებულებების არსებითი ნაწილი მოიცავს უცხოურ ვალუტაში წარმოქმნილ ვალდებულებებს.

მენეჯმენტის პოზიციით იმპორტ რეექსპორტის ოპერაციები ამცირებს სავალუტო სხვაობით წარმოქმნილი ზარალის გავლენის არსებობას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სავალუტო რისკი წარმოიშვება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. 2018-2019 წლებში დოლარის და ევროს გაცვლითი კურსის გამყარებამ კომპანიაში წარმოქმნა ფინანსური ზარალი საკურსო სხვაობიდან ვინაიდან კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილია წარმოდგენილი უცხოურ ვალუტაში, მათი გადაფასების ეფექტი მოგება-ზარალზე არის მნიშვნელოვანი.

მენეჯმენტის პოზიციით იმპორტ რეექსპორტის ოპერაციები ამცირებს სავალუტო სხვაობით წარმოქმნილი ზარალის გავლენის არსებობას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს ეკოლ გრუპი ფინანსური ანგარიშგება:
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:
საანგარიშგებო ვალუტა - ლარი.

14. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ საწარმოს უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

15. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

2021 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიას არ ქონია წინა პერიოდის შეცდომებით გამოწვეული კორექტირებები

16. დაკავშირებულ მხარეთა შორის ტრანზაქციები:

2021 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიას არ ქონია დაკავშირებულ მხარეთა შორის ტრანზაქციები.

17. სასამართლო დავები

2021 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიას არ ქონია სასამართლო დავები.

18. ბალანსის შემდგომი მოვლენები

2021 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიას არ ქონია ბალანსის შემდგომი მოვლენები.

გ. სხიფაძე

